Re|Bank SM communication scope 2023

რე|ბანკი კომპანიისა და მისი პროდუქტების შესახებ საკომუნიკაციოდ იყენებს სამ პლატფორმას: Facebook-ს, Instagram-ს და LinkedIn-ს.

ქვემოთ მოცემული სკოუპი მოიცავს SM კომუნიკაციის სტანდარტულ ვერსიას 1 თვის ჭრილში. პროდუქტების მიხედვით პოსტები და სთორები გადანაწილდება იმ თვის პრიორიტეტების მიხედვით. ჯამში უნდა მომზადდეს:

- 1 SM კამპანიის KV (იმ თვის პრიორიტეტული პროდუქტისთვის);
- 1 (მარტივი) გრაფიკული ვიდეო;
- 4 სთორი (თითო სთორი შესაძლოა მოიცავდეს მაქსიმუმ 3 ვიზუალს);
- 15 პოსტი (იგულისხმება კარუსელიც, ვიზუალების მაქსიმალური რაოდენობა - 3);
- 4 უნიკალური პოსტი უშუალოდ ინსტაგრამისთვის (2 reels, 2 statics);
- Copy თითოეული პოსტისთვის.

*პროდუქტები: ტოპ|ქარდი, ანაბრები (ძირითადად, სადეპოზიტო სერთიფიკატი), რე|ბანკის სესხი, პროდუქტი#4 (ახალი ბარათი), პროდუქტი #5, რე|ბანკი (ბრენდის შესახებ).

რას ველით სააგენტოსგან ყოველთვიურად

- ხედვას, როგორ უნდა გადანაწილდეს პოსტები, სთორები, ვიდეო და რილები პროდუქტების მიხედვით;
- გეგმას, ბიზნესის მიზნებიდან და პროდუქტის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რომელი პროდუქტისთვის რა ტიპის ქონთენთი უნდა მომზადდეს;
- გამართულ და გასაგებ ტექსტებს როგორც ვიზუალისთვის, ისე პოსტის ქოფის ნაწილში;
- აქტიურ ჩართულობას, ინიციატივებსა და რეკომენდაციებს თვის გეგმასა და ქონთენთზე მუშაობის პროცესში.

დამატებითი ინფორმაცია რე|ბანკის სხვა პროდუქტებზე

ტოპ|ქარდი

მომხმარებელს ერთხელ უმტკიცდება სასურველი თანხა და შემდეგ მრავალჯერ შეუძლია მისი გამოყენება. მსგავსი პროდუქტებისგან განსხვავებით, ტოპ|ქარდი მომხმარებელს გადანაწილების ვადებისა და პარტნიორი ობიექტების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს - საქართველოს მასშტაბით 2500+ პარტნიორ ობიექტში ხარჯის გადანაწილება 3-დან 24 თვემდე ვადითაა შესაძლებელი (სხვადასხვა პარტნიორთან ეს ვადა სხვადასხვაა).

ამიტომ რაც უნდა სურდეს მომხმარებელს: ტანსაცმლის, პროდუქტის, თავის მოვლის საშუალების ყიდვა; მოგზაურობა, დასვენება, თავის მოვლის პროცედურების ჩატარება - ტოპ|ქარდით ყველანაირი ხარჯის გადანაწილება შეუძლია.

სესხები

რე|ბანკის სესხი სტანდარტული სამომხმარებლო სესხია. პოზიციონირებს, როგორც მარტივი სესხი ნებისმიერი მიზნისთვის.

რეფინანსირების სესხით მომხმარებელი აერთიანებს სხვადასხვა ტიპის საკრედიტო ვალდებულებებს. შესაბამისად, ეს პროდუქტი პოზიციონირებს, როგორც ცხოვრების გამარტივების, განტვირთვის საშუალება. მესიჯი: გააერთიანე სესხები რე|ბანკში და განიტვირთე.

ანაბრები

რე|ბანკს აქვს 3 ანაბარი: მოთხოვნამდე, რე|ბანკის ანაბარი, CD (სადეპოზიტო სერთიფიკატი).

მოთხოვნამდე ანაბარი პოზიციონირებს, როგორც ყველაზე მოქნილი ანაბარი, რადგან ნებისმიერ დროს შეგიძლია შეიტანო და გაიტანო/გადარიცხო თანხა. სარგებელი ნებისმიერ თანხაზე გერცხება. მოსახერხებელია მოკლევადიანი მიზნების დასაგეგმად, მაგაითად, მოგზაურობისთვის.

რე|ბანკის ანაბარი სტანდარტული ვადიანი ანაბარია, რომელზეც კონკრეტული თანხით და ვადით განათავსებ თანხას.

სადეპოზიტო სერთიფიკატი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მიიღოს მაღალი საპროცენტო სარგებელი სხვა ანაბრებთან შედარებით, მათ შორის, კონკურენტებთან შედარებითაც.

პროდუქტი #4:

სადებეტო ბარათი ბენეფიტებით. დამატებითი დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი. სამომავლო კომუნიკაციის მიზანია ცნობადობის ამაღლება პროდუქტის მიმართ.

პროდუქტი #5:

განვადებასთან დაკავშირებული პროდუქტი. დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი. სამომავლო კომუნიკაციის მიზანია ცნობადობის ამაღლება პროდუქტის მიმართ.